

F-23
1920

2.40.197

ნ.ბ.რ.162.

Handwritten signature in black ink, possibly reading "L. G. ...".



ლ. გ. ...

ს. ბ. ...

ს. ბ. ...

ნ. ...

ბ. ...

Handwritten signature in black ink.

ნ. ...

ბ. ...

Handwritten signature in black ink.

ბ. ...

Handwritten signature in black ink.

Handwritten signature in black ink.

6621

პასხანე კონსტიტუცილი.

აზიისაკენ

ქართული ხელოვნება „მკედარ წერტილს“ ჯერ ვერ გადასცენია. ძველი, მტკიცე გზები დაგვარგეთ. ახალი საფუძველი ფხვიერია. ღრმით ჩაიფალით, და გა-
რინდებულგებს ოდნავ ლა გვესმის ალექსანდრე ქავკაზაძის თარის კენესა.

ქართულ ხელოვნების დაცალკეებულ დარბაზს აღარავინ სდარაჯობს. მხოლოდ „ვილაკ“
ფრაკით შეიჭრა შიგ და კედლებიდან ხალიჩები ჩამოხსნა. ჩვენი სულის უგზობის დროს,
ეს „ვილაკ“ ფრაკით მოგვეცლინა და იკისრა გზის გაკვლევა. მზეს ხურჯი შეგვაქცევინა.

იმ „ვილაკს“ ჯერ აღმატებულ შეხედეს, შემდეგ ექვიანობა გავიკვამ შესცვალა. ვრ. ორბე-
ლიანმა, ქართულ ხელოვნების მოხუცმა ადიუტანტმა, სცადა ამ „ვილაკის“ შემოღება, მკვა-
ხეთაც შეუძახა, მაგრამ „ვილაკამ“ ფრაკით—აჯობა. შემდეგ შეიწვივნენ კიდეც. დღეს ის
„ვილაკა“ ფრაკში ყველამ შეიყვარა თითქმის.

და ქართულ ხელოვნებას, რომელსაც ქართულობა აღარაში ეტყობა, ის „ვილაკა“ უშლის
„რადაც“ პერსავეტრებს. „ობა“—„იზმით“ კარგა ხანია შეიკვალა, და ასე აპირებენ გან-
გრძობას, ყველა ევროპეოლომის ციებ-ცხელებამ შეიპყრო. ყველას უნდა ბინოკლის შეფე-
რება. თუმც ეს გავეროპიელება, გარუსებას უფრო ჰგავდა, რაც უარესია.

სენი მძლავრი აღმოჩნდა. იმდენად მძლავრი, რომ გავების უნარი დაგვიკარგა. მაგალითად:
თვალაკრულ ევროპამ, მანიაკურ ექსტაზის დროს ახვილობა რომ ველოურბის სინონიმად
გამოაცხადა, ის „ვილაკა“ აალოდისმენტებით შეხვდა. გავეროპიელებმა შსიხოზის ხასიათი
მიიღო.

ევროპამ შეგვშალა და ალბად წაგვშლის კიდეც, თუ ასე ვაგრძელებდა.
აზიაში მყოფნი, ევროპიდან უმხერლით აზიას. მითომ ჩავექრა შემოქმედება, მკედარ მიმ-
ბაძელობამ კი დაგვასწულა.

ასე იყო და არის. ასე ველორ ვაგრძელებდა.

ქმარა, გვეყოფა!

დადგა დრო მიმოხედვის და მოფიქრებისა.

„ვილაკ“ რომ მოვიდა და დაეპატრონა ჩვენს ხელოვნებას, ის „ვილაკა“ უნდა წაიხედეს. თან
უნდა წაიღოს ის ბინოკლიც, რომელიც ევროპას დიდად გვაჩვენებდა და აზიას პატარად.
აზიას ისევე აზიის მთელიდან უნდა გადახედვა, თუნდ იალბუხის და ყაზბეგის გიგანტურ კო-
სმებიდან. მხოლოდ დიდ სიმბოლიდან გამოჩნდება აღმოსავლეთის რთული და დროსსაც-
ნობი ცხოვრება, ხან მძლავრე და ფიციბი, ხან მზორი და ქანცმილეთული, ხან მხესავით
გულ-ლია და მოცეკვავე, ხან კაცკაციონივით პირ-ქუში და ღრუბლიანი.

ევროპის უდიდესი რომანტიკოსები, გეტეს მთავარ-სარდლობით, ფიქრით მაინც აღმოსავ-
ლეთისკენ მოემართებოდნენ. ჩვენი პატარა „ვილაკ“-ები კი, გარბოდნენ აქედან თავ-ჩალუ-
ნულნი. მაგრამ ახალი თაობა ისევე აზიის შარა ზვას უნდა გაუღვდეს.

აქეთ არის შოთას სასახლე, რომის ლურჯი ბალი და ჰაფიზის მინარეთი. აქ ისმის ჩვენი
ძველი მონასტრების ზარის რეკა, დერვიშების მონოტონიური ვალობა და მუეზინების ყი-
ვილი მჩიეთის სიმბოლიდან.

აქ არის ქვეყანა მოგვებისა, მისნებისა, ბრამანებისა, მურტიბებისა.

და განა ცოტა რამის მოქმედნი არიან თანამოქალაქელები დახურულ გალერეებში შემოვლებული ჰა-
რამანები, მარმარილოს მადრევენები და თვით ცხელი უდაბნოებიც კი.

განა სპარსეთ-არაბების თავ-დავიწყების სამღვთო როკვა განცდათა სიღრმეს არ ამქლანე-
ბენ? შექერ-ლების სენსუალიზმი განა მთელ ევროპას არ აოცებს? განვის ნაპირებიდან არ
წამოვიდა ის მავიური ბინდი, რომელშიც იმალებოდა საშინელი, ფანტასტიური მისტიკა?

განა აღმოსავლეთში არ შექმნა ვენების თავადობა და შთავოხების ცეცხლი?

ან სად იცოდნენ ისეთი ღრმა სევდიანობა, ან ისეთი მწვევე ფიქრი და თავ-დავიწყებითი
ქვრეტა, როგორც აღმოსავლეთში? ფილოსოფია, რელიგია, ხელოვნება—ყველა ეს აზიაში
ღრმა იყო და თავისებური. უნდა იცვეს კიდეც.

და თუ დღეს „ზანტი“ აღმოსავლეთი თვლებს შეუპყრია, შესაძლოება მასში მაინც ტორ-
ტმანობს და გამოქლანდება კიდეც. უკვე დაიწყო. რაბინდრანათ თავგორი საუკეთესო დამ-
ტკიცება. საქართველოც აზიაში სთვლებს.


აზიაში დაგვიღამდა და აზიაშივე უნდა ველოდეთ ჩვენი ხელოვნების დილას.

დევით: უკან, აზიისაკენ წინ წასასვლელად.

მაგრამ ჩინეთის კედლები კი არა, ქართული დარბაზობა.

0875-7

164



II. მრჩეველი.

ერთგვირგვინოსანს

აი: ლამფას დავხურე მოთაღხო აბაჯური
და ოსმალურ ყავისფრად ოთახი ჩავაშავე.
და ბოლოს ვცემ. და ვამბობ: რისთვის! რა დავაშავე!
რათ მომიკალ, ნეტავი, გრძნობა ახალგაჯური?!

მე ხომ მართლა მიყვარდი—ვით სადაფსა ნიჟარი,
მე ხომ მონა ვიყავი ემაგ თვალთა ისრისა,—
მაშ ხასხასა ტუჩები ასე ვინ მომისრისა,
ვინ გამზადა მტრედღვით ვნება განავიჟარი?

და თუ სადმე მესმოდა რამ ახალი ამბავი—
განა თავდაპირველად მე შენ არ გიმჟღავნებდი?
განა მე არ ვიყავი შეგზედე და ავნებდი,
განა შენ არ გაკუთვნე ლექსი დაუსტამბავი?

*

დღეს კი ისე ამჩატდი თვით სიოც გადაგძალავს,
დაივიწყე მგოსანი მგრძნობიერი, მშფოთფარე;
დღეს ქმარი გყავს. და ქმარი თვით ოცნებას გიკრძალავს,
ქმარი ცივი ვით არზა, უგრძნობელი ვით მივარე.

ვაი—სადღა წავიდე! ვაი—ვინ მეყოლება!
ვიღა მოგხსენიებს მგოსნის მუზად წოდებულს!
ლამის მოვკვდე! ვინ არი, შენს ტანს ვინ ეტოლება,
შენს ტანს, ატამივითა ოდნავ ბუსუს-მოდებულს?!!

დღეს ქმარი გყავს. და ქმარმა შენ მონად გამსახურა,
ვით მუშანბა წარსული გაჰყინა და გაფისა;
შეგირთო და ეგ გულიც ისე მაგრად დახურა,
როგორც ბერ-საჭურისმა კარი ალყაფისა.

II. პრიუპუილი.

ქორწილი ჩვენუბანში

ანთეთ ჩქარა უშუხუნები და მაშხალები.

გაშალეთ სუფრა. გადმოჰფინეთ ბანზედ ხალები.
უთხარით ლოთებს, რომ აკურთხა მღვდელმა ალაგი,
რომ სიძეს მისცეს ფალუსტაკი დაუხალაგი,
რომ მზითვის ბიჭებს ჩამოართვეს ტაშტი და სარკე.

ხოლო თუ დღეს აქ რომელიმე ვადგება ცალკე,
თუ დღეს არავინ არ გადიქა ჩემებრ ქორწილად —
მას აზამბარი მიუსაჯოთ კიდევ ორ წილად,
რომ წითელ ვაშლში არ მალავდეს თეთრ უხალთუნებს.

აი, გამოჰყავთ პატარძალი ლამაზ ხათუნებს.
ის ნეგოსავით უმძრახია, მზესავით ღია,
და თუმც მის ბეჭებს არ ამშვენებს ქალაღია
და არც სახე აქვს თეთრის ხრილით ვადაფქვილული —

მაგრამ ის მგოსანს თვით სიზმარშიც არ ჰყავს ხილული.
ისე კრძალულობს ცის წინველა, აქ დანაბადი,
თითქოს მის ტუჩებს არ ეგემოს ალჯანაბადი,
თითქოს ღიმილით მზის კრილობა არც კი განკურნა.

და ეჯიბი კი სულ ღრიალებს: „სად არის ზურნა!
ღვინო და ზურნა! სხვა დღეს ნეფეს არა-უნდა-რა!“
ბანზედ ხან თარფი. ხან შაბაში. ხან უზუნდარა.
ქვეშ კი მწვადისთვის აშიშინდა ცეცხლის მაყალი.

გათენდა. მისწყდა ჟრიაშული, აყაღმაყალი.
ქვიშისფერ მელნით აიწინწყლა აისი ნაზი.
დუღუღკმა ბანზედ ერთხელ კიდევ დაჰკრა შაჰნაზი
და „მშვიდი ღამე“ კვლავ უსურვეს ნეფეს და ცოლსა.

და როცა ნეფემ მიაშურა თავის საწოლსა —
პატარძალს მხოლოდ ეს აღმოჰხდა: „ახ, აქ რა გვინდა?“
მაგრამ მყის ტუჩი პატარძლისა კოცნით აღვინდა
და გაიფანტა მარგალიტი ბადაშხეული.

საბნის ნაოქში დაიმაღა მათი სხეული.

სანდრო შანშიაშვილი.

მოღალატე ლეილა

მხარზე სურა შემოიდგი და გამოჰყე წყალზე დობილს:
იქ თეთრ ქვასთან მინახულეშ სიყვარულით ლახვარ-სობილს.

მზის ჩასვლისას მოკქრიალდი, დარჩი მთვარის ამოსვლამდე;
გულს ლოდინით ნუ გადმიღევე, თუ გსურს შარბათს შენთან ვსვამდე!
შემოიდგი მხარზე სურა და გამოჰყე წყალზე დობილს,
თორემ ტანჯვა გადამიტანს სიყვარულით ლახვარ სობილს!

ავერ, სერზე გადმომდგარა და დობილთან მოდის მღერით;
დაპირება აასრულა—შემომცინა გულმა ჟღერით!
შიშველ ფეხზე ფლოსტი ეცვა ანასხამი ფერად მძივზე;
ბროლის ყელი მოედერა უფრო ტურფა ნათელ სხივზე!
მას დობილი ჩამოჰშორდა... ჩემკენ მოდის, მოდის მღერით;
სურა დაღვა—ჩემთან დაჯდა—გული გვიცემს ორთავ ჟღერით!

შეუშნეველად უკვე მთვარე ტყის წვერიდან ამოცურდა.
ჩვენ თეთრ ქვასთან კვლავ ვისხედით, განშორება აღარ გვსურდა.
ყვავილებში თავი მივდეთ და განცხრომით ვნეტარებდით;
მე, მიჯნური და ბუღბუღილი სამნი ერთ დროს ვატარებდით!
შორს დობილი იძახოდა: უკვე მთვარე ამოცურდა!
ყურადღებას არ ვაქცევდით, განშორება აღარ გვსურდა.

და მიწყნარდა ყველაფერი, მხოლოდ წყარო თვის ხმას ადგა.
ერთი ვინმე ყრმა უცნობი უცბად თავზე წამოგვადგა.
და ხანჯალმა გაიელვა... წამოიქრა ქალი მნათი;
შევეუძახე: რად ჰკლავ? ვინ ხარ? ვინ მოგგზავნა მუხანათი!
„მან ჩემ ფიცსა უღალატა“ სთქვა და ბუჩქებს მიეფარა.
ქალს სიკვდილი შავს თვალებზე ლურჯის ფრთებით მიეპარა.

და მას შემდეგ, როცა მთვარე იცრიცება ბამბის მკლავად,
იმ თეთრ ქვასთან ვილაც სტირის ხმა-გაბმით და გულსაკლავად.

ს. აბაშელი.

მოქანცული თვალეზი

რომ არ გამომეთხოვე და უსიტყვოდ წახველი,
შენი სული ამაყი ისე რამ შეაშინა?
ჩემი გული სკივრია, გრძნობათა შემნახველი,
მაგრამ ჩემმა თვალეზმა სევდა გამოაჩინა.

და რაც წინად დავმაღლე სიტყვები სამაისო
შხამის წვეთად ციმციმებს ახლა ჩემს წამწამებში.
ფიქრი ვარდებს ჩვეული ახლა ეკლით აიგსო
და გველი დაბინავდა სულის ცივ აკლდამებში.

წინად თუ ვნეტარობდი, შენთან ყოფნა მშვენიოდა,
ახლა რა ვარ?—საფლავი: შიგ მიწა და გარედ ქვა!..
ვამბობ: მას რომ გულისთქმა ოდნავაც შერჩენოდა,
ისე არ წაფილოდა, რომ „მშვიდობით“ არ ეთქვა.

და იწყებენ ფიქრები შავი ქსელის შენებას,
და მებრძვის მოგონება გამჭრალ ღღეთა აჩრდილის.
ღლით საღამოს მოველი, და ღამით—გათენებას,
და არა მაქვს სურვილი არც ღამის და არც დღის.

შუალამით ღრუბელზე შუქი დაესვენება,
და თვალეზი შენიშნავს სხივთა შეტორტმანებას.
იქ ოცნებას ნანატრი სახე მოეჩვენება,
მაგრამ ქარი გადაჰვეის ციდან სათუთ ზმანებას.

დიღო მოახლოვდება, ცა ვარსკვლავებს მოიღვეს,
და ღრუბელი შეამჩნევს ჩრდილში ოქროს შემოსვლას
მოქანცული თვალეზი ზეცას ზანტად მოიგლის
და მოოქრულ ნაპირებს ცრემლის წამით შევშოსავს.

ქ. მათაბერი.

ფისოს

ციტუნიაე, ხარ რა ნაზი,
რა ფუნჩულა, რა ლამაზი!
ტანმოქნილი, ტანწგრწეტა,
მარდი, სწრაფი ვით გავაზი.
მითხრეს: გული მას აქვს ქვისო, —
მიჰქარავენ, არა, ფისო?
თაგვების ხარ ავი წერა:
გიყვარს ბნელში მათი ქერა!
გაიძევრას
ერთს ვირთავას შენს კლანქიდან
სურს გასხტომა.. მაგრამ ვერა!!
კლანქები გაქვს, სთქვეს, რკინისო,
მართალია, არა, ფისო?!..
მსხვერპლს დაიქერ.. ვით განგაშებ!..
ჰბეგვამ, ჰზელაე, ათამაშებ,
ალაუაშებ!..
ანთხეე სისხლსა — გიხარბან
და თეთრ კბილებს აკაშაშებ!..
ეშინოდეს ქოფაკისო,
სთქვეს და ფრთხილად იყავ ფისო!

ლევ. მთაბერი.

გაოხრებული სასახლე

რა სასახლე ავაგი, რა სასახლე!
მარმარილოს მთაზედ წამოვსქიმი იგი ცაათა სწორად.
ალმასის მალალი კედლები ჯადოსნურ ფერებად ელაგდნენ სივრცეთა შორის.
ბროლის ნათალი ვალაიანი მოვალე ირგული.
მზის პირმო სხივები მასზედ იმსხვრეოდნენ საზეიმო სალამად.
მის უკანასკნელი სხივები იქ ჰლამუნობდენ გულ-დაწყვეტილ გამომშვიდებთ.
და მათგან ნაქარგი ზღაპრულობა უკვდავების ფერებად იდინებოდა მთელს ვარემოში.
დიბა-ატლასით შევამკე დარბაზნი მისნი.
არ დამიზოგავს მოწეულობა თვალთ-სატყვევებლად.
უძვირფასეს ხალიჩებს ვეფხვის ტყავები სჭაობობდნენ კარიდან კარზედ ფერხთა საფენად.
რა ამოვსწურე სიმშენიერე და სიოხეე ძველის ძველ ქვეყნებისა სალამაზოდ და სამდიდ-
რებელად ჩემის სასახლისა, მაშინ კი დამთავრებულათ წარმოვიდგინე იგი.
მაშინ მოვუწოდე პირიმზეს ჩემსას, რომ მობრძანებულყო იმა სასახლეში და ედღეოფლა
ჩემზედ სიყვარულიდან სიცოცხლემდის.
მაგრამ რა ვუწყოდ ბედ-კრულმა, თუ მე განწირული ვიქნებოდი იმ ერთად-ერთისაგანაც,
რომლის ეშხითაც შევსტკროდი ცასა და მიწას.
მან უარყო ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი. უკანასკნელ ძალ-ღონითა და სილამაზით დამთავრებული
უარყო მე თვითონაც და მოსწყდა სამარადისოთ ჩემი გულის მხედველობას.
და დამრჩა ოხრად სასახლე იგი...
მე დაეძრე ეულივით უდაბნოდან უდაბნოში.
სტიქიონების სამსხვერპლოდ გამხდარა ჩემი შიშველი თავი.
ქარია ღმუილი, თოვლი და წვიმა, ჭექა-ქუხილი, ვაი და ვაგლახი არა მშორდება.
მიწისა და ცის შორის აღარსადა მაქვს თავშესაფარი მე, აღარსადა...
იქ-კი მარმარილოს მთაზე, ოხრათა სდვას ჩემი სასახლე...
ოხ-რა-თა სდვას... ჩემი სასახლე...

II. მკვლევარი.

ქალაქი

შუა ქალაქში სქელი კედლების გადებულია ზვიადი ღარი და ავტომობილ-ვაგონ-ეტლების დადის უწყვეტლივ ზედ ნიაღვარი. ხმელი მდინარის ხმელ განაპირად მიილტვის ტალღა ნაეშაფოტი და იმ ტალღაზე ობლად და მწირად მეც მიმოვილტვი, როგორც ნაფოტი. დიდი ქალაქის რკინის ძარღვებში დადის გიჟური ცეცხლი და გაზი!— აღარც ბულბულის სტვენა ბარდებში, აღარც ბუნება დინჯი და ნაზი... და მომაგონდა: წიგნს მივწერ ბარემ სოფელს მეგობრებს, რო მყვანდნენ წინად, მივწერ: წამილო რკინის მდინარემ და გადამაღწო ფოლადათ... რკინად...

ნ. ლომიძეანიძე

გათხრობა

მზემ ერთის წამწამით შემოაქვიტა ფანჯარაში, მაგრამ საჩქაროდ მიიმაღა, თითქოს ენანება არ გააღვიძოსო. მზემ შემოიხედა ოთახში და ფარდების სახეები ხელოვნურად ამოაგვირისტა იატაკზე, კედლებზე და საბანზე. მზეს ბოლოს გული მოუვიდა—ასეთი გაუთავებელი ძილიც არ მინახავსო—და გაალმსებული სახით შემოვიარა.

ლოგინში მწოლარე ყმიწვილმა თვალები ოდნავ გაახილა, გადამბრუნდა მეორე გვერდზე და ისევ ბურუსს მიეცა.

„როცა სდუმს“—ფიქრობდა ნახევრად მიძინარე—„გავიწყდება სურათის გონება და თუ ლაპარაკობს აღარ აქცევ ყურადღებას მოზაისის მშენიერებას. მასთან რომ ხარ, ლომობიერი, ტკბილი და ნაზია ყველაფერი, რაც ირგვლივ ახლავს. მახსოვს ასეთი გრძნობა ბავშვობისას გამომიცილია ჩვენს ტევრში, წყაროს ძირში: გრილა; ბალახი რბილია; ჩუმი შრიალი ფოთოლთა მოისმის; რიკრიკებს ქვებზე ღარიდან ჩამოეარდნილი წყალი, ფაქიზდება გრძნობა; მშვიდდება გონება; მაგრამ საკვირველია: ხშირად ისე ვყოფილვარ მოჯადოებულ, წყურვილ-მოკლული, სასევ ღარიდან განუწყვეტელ მარგალიტად მომდინარე წყაროთი, რომ ცივი ანკარა წყალი, გვირგვინი იქაურობისა არ დამიღვია. სხვაგან კი ვსვამდი ღვინოს, რომელიც მძაგდა; წყალს, რომლის შედარებაც-კი არ შეიძლებოდა წყაროს ნექტართან.“

— შენ რაღა გინდა? ცოტა ნაწყენი შემოუბრუნდა ფიქრებიდან გამორკვეული ყმაწვილი თავზე მდგომს მსახურს.

— წერილი გაახლებო.

— ვისგან?

— წირიშვილისაგან.

ყმაწვილმა საჩქაროდ დაიწყო კითხვა.

რომ?! კატო კუხიშვილს მიპყვებაო? სანდროს?! ყველას მიათხოვეს მოძულეებულს ქალს დედამა, მაგრამ სანდროს?! სანდრო ხომ ღვთის ნაზრი არ არის და ადამიანის შექმნილი! ბატ-მა იფიქრა და ღრმა ტალახში ამოჩუქნა ვირის გასაზრდელი არსება—სანდრო, ალექსანდრე!..... მოისინენ, უფალო, წიაღსა შენსა მხევალი ეკატერინე!“ დაცივით წამოიძახა ყმაწვილმა,

— ბატონო, ბიჭი პასუხს ელის.

— ჰო, კარგი! მომიტანე საწერ-კალამი.

საპასუხო ბარათი მოკლე იყო:

„პატივცემულო ქალბატონო—სწერდა ლოგინში წამომჯდარი—დასაფლავების მომწყობი საზოგადოების წევრი არ გახლავარ. პანაშვილებზედაც არ დავიარები.....“

ს. შავალიაშვილი.

თოვლები

თოვლის მაყრების მოსვლა დღეს ქარს არა სჯეროდა
და ვით მთვრალი აშული—მავთულეზე მღეროდა;
ეხლა კი სთვლემს ქალაქი და ჩირაღდნებს, და ქუჩებს
თოვლი თეთრი კონცერტით აბრუებს და აყუჩებს;
თოვლი ისე ჩამოდის, თოვლი ისე ცახცახებს,
თითქოს სატრფო ისროდეს აივნიდან ზამბახებს.
და მიტკლისფერ მორცეში იძირება კამარა—
თოვლმა ცა და ქვეყანა თეთრად დაასამარა!

მე მივყვები ნამქერსა—ნამქერივით ვული
და ცა მხრებზე მაწვება—ცა ძირს ჩამოწული.
გზები სულ მთლად წაშლილა—თეთრად გადაბურდული.—
სად მივდივარ?—ჩემს გულში შიში იძვრის ქურდული.

გულში ღამით ცა იყო ვერცხლის წყლით დაბასმული
და ზედ ქარავები ჰქონდა წერტილებად დასმული,
მთვარეს ისე მისდევდა ვარსკვლავთ მილიონები,
ვით გაქცეულ ფარაონს—მეამბოხე მონები,
და იღვროდა ნათელი და ჩემს ფართო ფანჯარას—
აწვებოდა სხივები—ხან რიგრიგად—ხან ჯარად.
და მე ნათლად ვხედავდი გზებს, ცისაკენ წარმავალს:
ცაში ანგელოზები იმართავდნენ კარნავალს—
და იქ ღმერთიც მეზმანა უცნაურის ზმანებით:
მან ზეციდან მესროლა შავი ხელთათმანები!—

შეეკრთი, ფარდა დაუშვი და სულ იმას ვფიქრობდი,
თუ გულში ამ განცდის ცეცხლს რომელ ზღვით დავიჭრობდი?..
სახლში შიში დამყარდა, კარში ქარი ატირდა—
და გავქეავდი ბურანში როგორც კარიბტილდა!

ეხლა კი... სთვლემს ქალაქი და ჩირაღდნებს და ქუჩებს—
თოვლი შაქრის კონცერტში აბრუებს და აყუჩებს;
და როს ქარი ღრუბლების ყდას გადაჰხდის მთვარესა—
მთვარე ოღნავ იელღებს და ჰქრება უარესად;
მთვარე თითქოს მეფეა—პორფირ შემოხეული
და ცდილობს, რომ დაჰფაროს თვის შიშველი სხეული.
ცა კი დაბლა ჩამოდის, ცა რძის ორთქლით ნაბანი,
და იშლება მიწაზე ფარჩის თეთრი საბანი.

და მივდივარ მარტოკა, ვით შეშლილი მაცსტრო,
ახ ნეტავი ამ გზაზე ჩემთვის არვის გავსწრო!
და ეს ფიქრი ქარს უსწრობს, როგორც მალი შურდული,
სულში კი თოვლი მოდის და ეკვი მჩხვლეტს ქურდული!

6. შიშველი.

ღელის სურათი

გუშინვე გადაწყვიტე დღეს დილით სკოლის ფერმაში შევეგებოდი მზის ამოსვლას. მიყვარს მარტოობა, მიყვარს ბუნება... ეხ, მოდი ფარისეგლობას თავი დავანებოთ: ბაბოს-თან ვიყავი შეპირებული, თორემ დილის ბაღში ბუნებაზედ არ გავცვილიდი... მიმიხედვებოდი, — ბაბო სხვის ცოლია და მე, როგორც მიღებულია, გაგიყვებით უყვარდი! იმასაც ხშირად დაუთმია დილის ძილი (შუალამისაც!) „ბუნების“ გულისათვის... ფერმაში ერთი მოპურული მყუდრო ხეივანი შევაგულეთ და ისე ვგრძნობდით თავს, როგორც საკუთარ სახლში!.. გარდა ამისა, ორთავე ცნობილი ვიყავით წმინდა წყლის „ესთეტებად“ და იკვირობას არ დაიწყებდნენ... ჩემი თავისუფლებას მხოლოდ ერთი ვარამი სდევდა უკან — ბაბოს ექვსი წლის ტასიკო!.. ახირებული რამ იყო ეს გომბიო!.. რამდენსაც გინდა ცდილიყო ბაბო, იშვიათად თუ დააღწევდა თავს ამ არკაუქს!.. ერთი ტირილ-ღრიალით დაედევნებოდა უკან და, მეტი რა ჩარა ჰქონდა, რომ თან არ ეტარებინა!.. მოგეცა წყალობა, ბაბო იმას დაუტატანებდა ხოლმე, როდესაც, ვთქვათ, სავაჭროდ მიდიოდა. აბა, რა ბავშვის საქმეა ბაზარში ტანტალი!.. მაგრამ... ბალი, ბუნება, დილის ჰაერი — მოგვხსენებათ, პირველია ბავშვებისთვის!.. მოდი და უბრძანე სახლში დარჩეს!.. რათა? მიზეზი?!.. მართალია, ბაბო ქმარს ძალიან არ უფრთხოდა, მაგრამ ასეთ ჯიუტობას, შესაძლოა ქმარიც კი ჩაეფიქრებინა... კარგად იცით, — თუ იჭვის ჭიამ ერთი გაიღვიძა, მცონარესაც კი აღარ მოასვენებს!.. გარდა ამისა, ტასიკო თავისი გამარჯვებითაც იქამდის იყო ხოლმე კმაყოფილი, რომ შემდეგ ადვილად ვიშორებდით თავიდან: ეს პეპელგება სდიე, აი ნიჩაბი და ვინალო კარგი ბაღა გააშენა, — რას არ მოიგონებს გაქირებული ადამიანი!.. მე და ბაბო-კი პირდაპირ გენიოსები ვიყავით ამ მხრივ!.. ერთხელ „ხბოობანაც“ — კი ვათამაშეთ: ტასიკო თოკით ხეზედ მიგაბით და მარწყვში ვაფუშვით, ვითომ ხბოა!.. ხე-ხე-ხე... მხოლოდ ერთი შემთხვევის შემდეგ გაუწყრა ღმერთი და „ხბოობანობითაც“ — კი ვეღარ ვატყუებდით! მე და ბაბო ხეივანს ქვეშ ვისხედით, ტასიკო-კი მოშორებით თავის ბოსტანსა მმარგლიდა. უცებ როგორღაც თავს წამოგვადგა, როდესაც ბაბო ჩემს კალთაში იჯდა და მეალერსებოდა... ის იყო და ის! — შეჯდა ეშმაკზედ და თავიდან ვეღარ ვიცილებდით: საცა ჩვენ — ისიც იქ! წავალთ — მოგვდევს, დაესხდებით — დაჯდება, წამოგვწებით — ისიც იქვე მუცელზედ წავგორდება და ფეხებს ჰაერში ათამაშებს!.. არამც-თუ მე, — გგრძნობდი, რომ დელას-კი ეზიზღებოდა ეს ლეთისაგან წყეული ანგელოზი!.. აა, ცოტა კიდევ და ვტაცებდი იმ ბოცოცა ფეხებში ხელს და ბაყაყივით ვისროდი ღობის იქით!.. ოთხ საათზედ მე უკვე ფერმაში ვიყავი. ბაბო მხოლოდ ექვს საათზედ უნდა მოსულიყო. მივწყე იქვე გრძელ ფიცარზედ. დილის სიო სასიამოვნოდ მივიღა ტანში... ჩამძინებოდა... უცებ გამღვიცა... საათს შეეხედე — ექვსი სრულდებოდა. წამოვხტი. შევხედე პირდაპირ ამომავალ მზეს და ოლინგიად გავიხზორე... გავიხედე გზისკენ, — ბაბო არსადა ჩანდა. მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ თავით ახლად დაკრეფილი ჯერ ისევ ნამიანი მარწყვი მოგვროვა, — ეს მებალის ყურადღებას ნიშნავდა... ბუნებით თუმცა დარდიმანდი ვარ, მაგრამ ჩემი ცარიელი ჯიბე ვის ალუძრავდა ასეთს პატაცემას!.. ეხ, ტუტილად-კი არ არის ნათქვამი, რომ ღმერთი თავის შექმნის არ ვასწირავს და, ბუზი რა არის, — იმასაც-კი რითიმე დააჯილდოებს!.. ჩემი საქმეც სწორედ ეგრეა: არც ფული მაქვს, არც დიდი სამსახური, არც ისეთი რამ ჩამომავლობა, მაგრამ... აი, თუნდ ქალები: ისე შეტანებიან, როგორც შემოდგომის ბუზი მელოტ თავს!.. რაღაც გამიგონია შავ თვალზედ, მაგრამ არა: თვალი ხომ თვალია, მაგრამ გამჩენს კიდევ „რაღაც“ დაუნათლებია ჩემთვის, თორემ ამ ჩვენ დალოცვილ საქართველოში ყველას გამურული თვალები აქვს!.. ეს ხომ წამომცდა და ბარემ სულ ვიტყვი: საცა ლამაზი ქალია, ივლის და წამომადგება თავს: „ჩემი ქმარი ძალიან კარგი კაცია, მაგრამ ჩემი სული (ხე-ხე-ხე...) ობლობას ვანიც-დისო“ პირველ ხანს ვაიბერე, რა ვაიბერე — თავი ნაპოლინად მომქონდა!.. ახალგაზრდა ვიყავი ჰიპოკრიზის ნაქუქარს ანალიზის გუბეში არ ვალბობდი... მომეწონა ჩემი თავი, ძალიან

მომეწონა, —ჭეტიც: ღრმა ბუნებრიობის განცდა მოვისურვე; გავეხვიე ჩაილდ-ჰაროლდის წამო-
სასხამში და, მოგვით წყალობა, ცრემლის ნიაღვარი ვაღინე „სულთი ობოლთ“..

მხოლოდ ერთმა დაკვირვებამ გადამასხა ცივი წყალი: არცერთი გასათხოვარი ქალი არ მო-
დიოდა ჩემთან „ობლობის“ საჩივლელად, —სულ ვათხოვდებო... „ბიქოს!“ —გავიფიქრე:
„თუ ობლობაა, ამას ვასათხოვრები უფრო არ უნდა ჰგობოდნენ?! სად არიან, რატომ
არ მოდიან ჩემთან?“ მაშინ-კი მივხვდი. თუმცა შემძიმებოდა ლამაზი პოზის შეცვლა... ამის
შემდეგ გავეხუმრე კიდევ „ობლობის“ ერთს ახალს მსხვერპლს: გულზედ ხელები დავიკრებე
და ტრავიკულად ვუბასუხე: „მე მზადა ვარ ცხოვრების თანამგზავრად გაგიხადოთ, მხოლოდ
საჯაროდ, პირ-ახლიდა!“ ხე-ხე-ხე... ჩემი „ობოლი“, ეჭვი არაა, მომზადებული არ იყო
ასეთი ახირებული მოულოდნელობისათვის და სულ აირია!.. შშობლებიც მაშინ მოა-
გონდა, საზოგადოებაც, „დაწყველილი ბორკილიც...“ რა შექნა?! გაქიანურებულ ხუმრობას
ხომ მარბილი აკლდება და... ჩქარა მზის ამოსვლა-ჩასვლის საცქერლად სულ თან დამ-
დევდა...

ცოტა ვადაფუხვიე... სულ-კი მებაღის ბრაღია: ერთი ვატლექილი ბიჭი და —ასეთი ყურა-
დღება!..

ავკრიფე მარწყვი; ცოტა მე შეეკამე, დანარჩენი არკაუქ ტასიკოს შეუნახე.

ბაღის მეორე მხრისკენ გავწიე...

როდესაც ხეებს მოვეფარე, უკანინან ფეხის ხმა მომესმა. ფიცხავ მივტრიალდი და დავინახე
ოთხი შევირდი: მხარზედ თოხები გავდით და სამუშაოდ მოსულიყვნენ. ოთხივე იმ ფი-
ცართან შეგჯუფულიყვნენ სადაც მე ვიწეკი, ერთმანეთს ხელდგან რაღაც ოთხკუთხიან
თეთრ ნაჭერსა ჰგელჯდნენ, ტურნებზედ იღებდნენ და საიდუმლოდ ხითხითებდნენ. მკაფიოდ
მომესმა ტურების ტყლაშა-ტყლუში: ოთხივე ჯერჯერით ჰკოცნიდნენ იმ თეთრ ნაჭერს...

გულზედ რაღამაც მიკბინა... გავიკარ უბეს ხელი, ცარიელი დამხვდა... ეჭვი არ იყო: ობოლის
დროს დედიჩემის ფორტოგრაფიული სურათი წამომეკარდნოდა და ესლა ეს თექვსმეტ-ჩეიდ-
მეტი წლის ვამხეცებულ ბავშვები გაშვებებით ჰკოცნიდნენ მას... დედა ჩემს!..

თავში სისხლი მეცა... მკლავები დამეძარღვა და გავემართე მათკენ... შევდექ... სულს ძლივს
ვიბარუნებდი... შემეკმინდა ჩემი თავისა... საშინელმა მხეცმა გაიღვიძა და საქმე უბრალოდ არ
გათავებდებოდა, თუ-კი ცოტათი მაინც გამოვყოფინებდი საზარელ კლანქს...

მთელი ძალ-ღონით მოვლრიცე ხის ტოტი, რომელზედაც ხელი მეღა, ღრმად შევისუნთქე
და წყნარად გავწიე შევირდებისკენ... იმათაც დამინახეს და გაშეშებული მიცქეროდნენ...
მივუბლოვდი და, რამდენადაც-კი შემძლო, მშვიდად ვკითხე: „უბიღან ფორტოგრაფიული
სურათი დაეკარგე (დღის სახელი ვერ ვახსენეს!) და ხომ არ გიპოვნიათ მეთქი?..“ ალბად,
ჩემი „დამშვიდებული“ სახილგან მხეცის თვალები ანათებდნენ და სწორედ ეს უნდა ყოფი-
ლიყო მიზეზი, რომ ოთხივე გამშრალი, შვინებული უნძრეველად იდგნენ და ხმის ამოღებას
ვერ ახერხებდნენ... ბოლოს ერთმა უკან მოფარებული ხელი შიშით გამომიწოდა... ჩამო-
ვართვი სურათი და დინჯად ვაგებრუნდი...

დავხედე დედი ჩემის ნასახს... ვიცან ყოველი ხაზი დედი ჩემის საყვარელი სახისა. მწუხარე
თვლებში ჩვეულდებოდა ალერსით მიყურებდნენ და, ასე გონია, სამღურავს მიძღვნიდნენ—
„რად ჩაუტვედ ჩემი თავი გრაცყნილ ბიჭებსაო!..“ ალერსით ვადაუტევი სახეზე ხელი, ვითომ
უწმიხდებოდა მოვაშორე, და შვილურის გრძობით დავეკონე. შევახვიე ქალღელში და ისევ
უბეში ჩავიდე.

შევირდები მოშორებით სთოხნიდნენ და მხიარულად რაღაცაზედ ხითხითებდნენ; ფარულად
ჩემკენ იხედებოდნენ და ერთმანეთს თვალს უშვებოდნენ... ბრაზი ისევ გულს შემომავა—
შევირებული გრძობა შურის თხოვლობდა... ვაგებრუნდი, ვანაპირა ხეივანისკენ წავიდი...

უცებ ფეხის ხმა მომესმა... ბაბო!.. ტასიკოც უკან მოსდევდა. ღიმილით ხელი გამომიწოდა...
თავს ძალა დაუბრუნე, მაგრამ ჩემს გაფითრებულ სახეს ღიმილი არ ადგებოდა... ბაბოს
შეხება მიეზიდა... ხეივანის უკანა კუნჭულში მიჯდა და კითხვით შესცქეროდა ჩემი სახის
არა ჩვეულებრივ გამომეტყველებას.

ტასიკო ხელში ავიყვანე და მარწყვი შევთავაზე; იმას ჯერ უსიამოვნოდ დაეპარანჰა პირი-
სახე და ხელიდან ვაშეება უნდადა, მაგრამ ჩემმა მეგობრულმა ქცევამ ალბად გული მო-
უბრუნა და გამიღიმა. ჩამომართვა მარწყვი და ქამა დაუწყო; დრო-გამოშვებით შემომხე-

დავდა და გაილიმებდა. ესე კარგა ხანს ვიდექით. ბაბოს წყენისა იმ დროს არ მეფიქრებოდა, მაგრამ ჯერ არ ვიცოდი, როგორ უნდა გავძლოლოდი ამ ახალ გარემოებას.

—ნუ რყენით, დავით! მომიგმა ბაბოს უკმეხი ხმა.

ტასიკო ხელიდგან გამისხლტა. მეც მივბრუნდი და ბაბოს მივუჯექი. ტასიკომაც ჩემს გვერდით მოიკალათა. შევხედე ბაბოს, კეკლუცი ღიმილი აღარსად იყო მხოლოდ სახის და-მშვიდებას ცდილობდა. მე ჩემად ვიჯექ და ჯობით მიწას ვიჩიქნიდი. ესე კარგა ხანს გა-სტანა. ბაბოს მოთმინება ეკარგებოდა.

—წადი ეხლა, ტასიკო, შენს ბოსტანს მიჰხედე! თავ შეკავებით უთხრა დედამ.

ტასიკო არ ინძროდა. მეც ისევე ვიჯექ.

—არ გესმის, წადი მეთქი! მკაცრად გაუმეორა ბაბომ.

ტასიკო ზღაზნით და ბურტყუნით გაემართა... მეც წამოვხტი...

—აბა, ტასიკო, წავიდეთ, ვნახოთ!... მხიარულად მივაძახე, ავიტაცე ხელში და წავიყვანე; თან ხმა მაღლა ვეყებებოდი ამ მთისას—იმ მთისას, რომ უხერხული სიჩუმე ამომეგსო რითიმე.

შორი-ახლოს რუ მოჩუჩუხებდა და იქვე ხის ძირში ტასიკოს ბოსტანი იყო. მხიარულად მიუახლოვდით და ფიცხლავ საქმეს შევედექით. გავმარგლეთ, მოვრწყეთ, ბილიკები დავ-ტყენეთ... ორთავეს ხელები ტალახით დავესვარა და მხიარულად ვხარხარებდით. გავიდა ნახევარ საათზედ მეტი. ბაბოც გამოვიდა ხეივნიდგან, დინჯი რხევით მეორე მხრისკენ წავიდა და, ვითომ, უდარდელად რაღაცას ღლინებდა.

—ტასიკო, წავიდეთ, დროა!.. მთქნარებით დაუძახა დედამ.

—ეხლავ, ეხლავ, დედი... ცოტა კიდევ დაგვრჩა...

ბაბო არ აუხირდა და ისევ ღლინით ჩაისივინა.

მე და ტასიკომ ცოტა კიდევ ვიჩიქნეთ მიწა და შემდეგ მე თითონვე ავაშურე.

—წავიდეთ, ტასიკო, თორემ ჩაიხედ დაგვივიანდებათ.

ძლივ-ძლიობით დავებანე ხელები გაცელქებულ ტასიკოს, შევეუმზარა და ბაბოსკენ გავწვიეთ. ბაბომ დაგვიანხა; ქალაქისკენ ქნა პირი და დინჯი ღლინით გაემართა. მე და ტასიკო უკან მივდევდით და განუწყვეტლივ ვუბეულობდით.

მიუახლოვდით მათ სახლს; ტასიკომ მეგობრულად ხელი ჩამომართვა. ბაბოს ზრდილობიანად ქული მოეუხადე; იმან ღლინით დაბლა თავი დამიკრა და შევიდა კარებში...

ქ. ჭიჭინაძე.

დაღამება

აი თან და თან ჩემს გარშემო დასალამოვდა.

სული მოითქვა დედა-მიწამ ცეცხლით ნადაღმა,—

მკაცრი მნათობი, მის გადაწვას რომა ლამობდა,

მძიმედ დაღლილი ჩაესვენა მთების გადაღმა.

აღმოსავლეთით გაწოლილი უღელტეხილი

ცას გამოეყო დამტვრეული შავი ხაზებით,

ხოლო დასავლეთს, დასახლებულს მუქ დარბაზებით,

საზღვრად გაველო ოქროსფერი სიბრის გრეხილი.

ნელის შეპარვით იფერფლევა კამარა ცისა,

მტრედის გუნდებად იშლებიან ღრუბლის ქულები,

და, ვით მკვდარ მცენების დარჩენილი მოციქულები,

საღდაც შორს კიდევ ცახცახობენ სხივები მზისა...

ღრმა ნაპრალებში ჩაფენილი ბინდი ხშირდება,

თალხი ჰაირით იმოსება მწვანე ტყე-ველი,

და ჩემი სულის მღუმარება დაურღვეველი

უსაზღვროების მკვდარ სიჩუმეს უკავშირდება...

ივ. სიმონიძე.

ბრივანვილის „საიათნოვა“

შვეიცარიამ გადამტყორცნა ბედმა. ენევის ტბის პირათ ახლათ გაცნობილ შვეიცარიელ ფრანგს ვემუსაიფებოდი ჩემი სამშობლოს შესახებ და ისიც მაცნობდა თავის კოპწია შვეიცარიას.

- საფრანგეთი რომ შემოგესოს, რას იზამ მეთქი, დავეკითხე.
- იარაღით დავიცავ ჩემს სამშობლოს, იყო მარტივი პასუხი.
- კი მაგრამ ამ შემთხვევაში შენ უნდა გაილაშქრო ფრანგების წინააღმდეგ.
- დიად, გავილაშქრებ!
- მერე შენ ხომ ფრანგი ხარ?
- რა ფუსათ, რომ ფრანგი ვარ! სამაგიეროდ მე ვარ შვეიცარიელი და ჩემი სამშობლო შვეიცარიაა.

- მერე როგორც ფრანგს საფრანგეთი ხომ უნდა გიყვარდეთ.
- საფრანგეთი დიხაჯ მიყვარს, მაგრამ მე შვეიცარია უფრო მიყვარს, რადგანაც ჩემი სამშობლო ეს არის.

- გული როგორ მოგცემს ნებას, რომ ფრანგების სისხლი დაღვარო?
- ფრანგი რომა ვარ, განსაკუთრებით ფრანგებს არ ვაპატიებ, შვეიცარიას შემოესიონ; რასაც თქვენ ამბობთ, ეგ არასოდეს არ მოხდება, მაგრამ კიდევ რომ მოხდეს, გარწმუნებთ, შვეიცარიის ფრანგები პირველ რიგში ჩაედგებიან ჩვენი სამშობლოს დასაცველად, დააბოლოვა ჩემმა მოსაუბრემ სიტყვა.

დიდხანს მიფიქრია მას შემდეგ ამ კითხვის შესახებ. ჩვენი საქართველოც ხომ შვეიცარიას მიემგზავსება. აქაც ხომ ჩვენთან ერთად, ჩვენს მიწა-წყალზე ცხოვრობენ სხვებიც: სომხები, თათრები, ოსები.

შვეიცარია მე განვებ ვავისენე. იქ სამი ერი სცხოვრობს: ფრანგები, გერმანელები, იტალიელები. სამივე უწინარეს ყოვლისა სთელის თავისთავს შვეიცარიის მოქალაქეთ და სამივეს სამშობლო მხოლოდ შვეიცარია არის და არა საფრანგეთი, არა გერმანია, არა იტალია.

ქართველმა ხალხმა სულიერად მიიღწია შვეიცარიის განვითარების სიმაღლეს. მან ძმურად გაუწოდა ხელი ყველას საქართველოში მცხოვრებს და მიმართა: ჩვენ გვაქვს ერთი სამშობლო, გავხდეთ ამ საერთო სამშობლოს ერთგული მოქალაქეებიო. სამწუხაროდ სხვებს არ აღმოაჩნდა გამოცდის დროს ასეთი შეგნება, ასეთი სულიერი სიმაღლე.

ჩვენი ოსებისა და ჩვენი სომხების ნაწილი ჯერ კიდევ ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ მათი სამშობლო საქართველოა და ეს საერთო სამშობლო ქართველ ხალხთან ერთად უნდა დიდებინ ყველა მტრისაგან.

თუ შვეიცარიის ფრანგები, იტალიელები და გერმანელები ამბობენ: ჩვენ შვეიცარიის ხალხი ვართო, ნუთუ საქართველოს მოქალაქეები გახურჩეულდ ეროვნებისა ვერ შეიგნებენ, რომ ჩვენ ყველა საქართველოს ხალხს წარმოვადგენთ? შეიგნებენ და ამის თავდებია ჩვენი ახლობელი წარსული. ჩვენმა წარსულმა შესძლო ტფილისის მოქალაქის წარმოშობა და ეს მოქალაქე იყო ყარაჩოელი.

ყარაჩოელი და კინტო ერთი და იგივე ჰგონიათ!! ჩვენი წარსულის უცოდინარობით მოსდით.

ყარაჩოელი უპირველესათ ტფილელი მოქალაქეა. შეიძლება ის ქართველი იყოს, შეიძლება სომხები—სულ ერთია, ის შვილია საქართველოსი, საქართველო მისი სამშობლოა.

და მას უყვარს ეს სამშობლო, ის არ გასცვლის მას სხვა ქვეყნის სამოთხეზე. არ უღალატებს, არ გაჰყავდის მას.

ამ მხრივ ყარაჩოელების სულის კვეთების, მათი გრძნობის გამოხმატველი მგოსანი საიათნოვა არის, რომელიც მღეროდა: „ჩემი სამშობლო თბილისია, საქართველოს გულიო“;

ყარაჩოელთა დიდი ნაწილი სომხობა იყო, მაგრამ სამშობლოს სიყვარულში ეს ნაწილი შედუღებული იყო ქართველობასთან.

ქართველ და სომეხ ყარაჩოღლებს—ორთავეს ერთი სამშობლო ჰქონდათ, ორივენი ერთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ორივეს საერთო ჰქონდათ ქირი და ლხინი. კეთილდღეობა ჩვენი რესპუბლიკისა მოითხოვს, რომ—როგორც ძველად ყარაჩოღლებს—ისე დღესაც საერთო გვექონდეს—ლხინიც, ქირიც, სამშობლოც.

„ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“.

ძველი, ყარაჩოღლური ძმობა და ერთობა ჩვენს შორის ახალს ხანაში, თავისუფლების ცხოველყოფიელი მშის სხივებზე სიყვარულისა და თანხმობის განუწყვეტელ ჯაჭვით უნდა გადაქცეს.

ძმობისა და ერთობის სიმები საქართველოს სხვა და სხვა ერთაშორის ჯერ სამუშაოვად არ არის მტკიცე. მაგრამ საერთო მუშაობით, შეერთებულის ძალ-ღონით უნდა განვამტკიცოთ.

ამიტომ სასარგებლოა იმდროში ჩახედვა, როდესაც ეს სიმები მტკიცედ იყო გაბმული და, მათზე დამყარებით საიათნოვა ატკბობდა ძველ ტფილისს, ძველ ტფილელს, ძველ ყარაჩოღლებს—სომეხსაც, ქართველსაც, თათარსაც.

ეს დრო, მისი მამული ცხოვრება, მისი ბავშური გულუბრყვილობა, მისი სადაობა და სილამაზე ეშხიანობა და ბაკმიანთა გადაგვიშალა თვალწინ თვითონ ბაკმიანმა გრიშაშვილმა. გრიშაშვილის საიათნოვა სწორეთ დროის შესაფერისია.

რა აკლიათ დღეს საქართველოს სომეხებს? საიათნოვა.

ისინი უნდა დაუბრუნდნენ საიათნოვას გზას, მათ უნდა აღიარონ სამუდამოთ და პატიოსნათ ჩვენი სამშობლო ტფილისია—საქართველოს გულიო!

რა უნდა გვახსოვდეს ჩვენ—ქართველებს—განსაკუთრებით დღეს, როდესაც ძმობა-ერთობის ამოძახილს ერთგვარი ჰერატლი ჰფარავს? საიათნოვა!

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სომხის ერმა მოგვცა საიათნოვა, რომელიც ჩვენ შორის ძმობა ერთობის და სიყვარულის ხიდი იყო.

არაარტის მთავრობამ ტლანქად ჩაღწეა ეს ხიდი. მაგრამ მოვა ახალი საიათნოვა და ამ ხიდს ისევ ვასდებ.

რომაული ანდაზაა: წიგნებს თავისი ბედი უწყრიათო. საიათნოვასაც თავისი ბედი ეწერა.

ჩვენ გავევგონა საიათნოვა, ვიცოდით, რომ ის ერეკლეს დროს რალაცას სწერდა, უკრავდა, თუ მღეროდა, მაგრამ მას არ ვიცნობდით.

გრიშაშვილის ნიჭი და მაღლიანი კალამი იყო საჭირო, რომ საიათნოვა მკვდრებით ამდგარიყო ჩვენი საზოგადოებისათვის.

ესეც საიათნოვას ბედი, რომ ის ხელში ჩაუვარდა მშის სხივებში მოტივტივე სიტყვათა ჰარამხანის ბრძანებულს.

საიათნოვა გაუგებარია, თუ ძველი ტფილისი არ გაიგეთ. ძველი ტფილისი გაუგებარია, თუ ძველი ყარაჩოღელი არ გაიცანით.

გრიშაშვილიც გვიხატავს ყველა ამათ საუცხოო სურათს: „ძველს პოეტებში მეც შეაეს ჩემი გულის მურაზი!“.

ერთი მათგანი უტყვევლათ საიათნოვაა.

გრიშაშვილს აქვს საერთო როგორც საიათნოვასთან, ისე ყარაჩოღლეთან.

გრიშაშვილის ნიჭში არის ბევრი რამე ყარაჩოღლური: ყველგან და ყოველისფერში საკუთარი მეობა, სულისა და გულის იშვიათი სიმდიდრე, გონება-მახვილობა, თავისებური ფხიანობა, საკუთარი გზის საკუთარი შრომით გაკაფვა და სხვა... ამა რამდენი ერთი უნდა ჩამოვთვალო!

საიათნოვასთან კი გრიშაშვილს აერთებს მოტივები, ჰანგები, რითმი, სიყვარულის ენა, სამიჯნურო გალობა, მგოსნობა.

საიათნოვა პოეტიც იყო, მგოსანიც—ესე იგი მომღერალი.

გრიშაშვილიც პოეტი და მგოსანია.—

მართალია, ის არ მღერის, მაგრამ სამაგიეროთ მისი ლექსის სიტყვები სულ მღერიან და ცეკვვენ.

ბუნებრივი პოეტის ამითი განირჩევა—ნაცოდვილარისავან: მისი ლექსის კითხვამ უსათუოდ უნდა ავამღეროს და სხეული ავითამაშოს.

საიათნოვას სიყვარული მსხვერპლიანი, ზვარაკიანი სიყვარულია. ამგვარივეა გრიშაშვილის სიყვარულიც.

უმთავრესი მოტივი საიათნოვას პოეზიისა სიყვარულია. გრიშაშვილის ცელქი, ცქრიალა, მოსხლეტილი, ხან მზიარული, ხან სევდიანი, მაგრამ მუდამ მოცეკვე და მომღერალი სიტყვაც ხომ უფრო სიყვარულს ევლება გარშემო.

საიათნოვა რაც იყო, თავისით იყო,—თავისი ნიჭით, თავისი ენერგიით გაიკაფა მან გზა და გახდა სასახლის დიდი მფოსანი.

ამ შხრივ გრიშაშვილი საიათნოვას გამეორებაა. ამანაც დიდი და თავისებური ნიჭით გაიკაფა გზა და შეიჭრა ძრივლ და მეტათ ლამაზ ნაკადულათ ჩენს პოეზიაში.

ამიტომ უყვარს გრიშაშვილს საიათნოვა და მასთან ერთათ ძველი ტფილისი და ყარაჩოლელეები. უსიყვარულოდ არ შეიძლება ისეთი სურათების დახატვა, როგორსაც გვაძლევს გრიშაშვილი თავის „საიათნოვაში“.

ძველი ტფილისი, მისი ცხოვრება, მისი ზნე-ჩვეულება, მისი დროსგაძრება, საქმიანობა ცოცხლდება.

და როდესაც საიათნოვას ჰკითხულობთ, გგონიათ, რომ ყოველივე ამას ჰხედავთ ცოცხლათ ნამდვილათ, საკუთარის თვლით.

ამ ძველ ცხოვრებაში სადამბასა და სიმარტივესთან ერთათ დიდი სილამაზეც არის და ეს სილამაზე თავის გამომხატველს ჰპოებს საიათნოვაში.

დიდი პოეტი ის არის, ვინც თავის დროს საუკეთესოთ გამოჰხატავს. საიათნოვას პოეზია ღარიბია მოტივებით, როგორც მაშინდელი ცხოვრება, მაგრამ ის მდი-

დარია ფერადებით; ის მარტივია, მაგრამ მეტათ ლამაზი.

საიათნოვა სარკეა თავისი დროისა და ამიტომ ის დიდი პოეტი.

მაგრამ გაცილებით უფრო დიდი პოეტია გრიშაშვილი, რომელმაც საიათნოვა და მისი გარემო ასე საუცხოვოთ წარმოგვიდგინა.

მარიკან.

ყავახანაში

დღეს ავად ვარ, მაგრამ თვალწინ არ მშორდება თეთრი კაფე, სადაც ბევრჯელ მუქ ფიჭვებში ლექსის სახე გამოვკაფე;

იქ დამსხვრეულ, მწველ აკორდზე ჩემი გული უხმოდ კენესდა, იქ ექსტაზით ვიყავ მთვრალი... მაგონდება ყველა ეს და

კვლავ განვიცილი წარსულ წამებს, კვლავ წარსულმა დამახანა და ხსოვნაში, ვით ეკრანზე, იხატება ყავახანა.—

მაგიდები. ელექტრონი. ყავა. ბოლოლი. მინანქარი.

კუგურუმელა ფარეშებზე თეთრი ფიჭვის წინსაფარი.

ძველ ნაცნობთა პროფილებში ვაჩვენებ უცნობ სილუეტებს, ზოგი უხვად სიცილს აფრქვევს, ზოგიც ღიმილს ვერ იმეტებს,

და ციკარის სურნელოვან, ნაზ-მოლურჯო ბოლის გველი, იკლანება მათ გარშემო, ვით ზღვის ნისლი, ვით ღრუბელი.

აი, ვხედავ შენს ქარც სახეს, მკრთალს, ფერმიხდილს, დაღალულს, ჭკვიან შუბლსა, ბევრის ფიჭვით დახაზულს და დაღარულს,

და, გიცქერი დაჟინებით, და გიცქერი ხარბად, ვნებით, თვალს სწყურია, აღიბეჭდოს შენი სახე ზედმიწევნით,—

მაგრამ... შენ კი როს შემნიშნე, მომესალმე ისე ცივად: რომ ეხლაკ კი მოგონება გულს მეჭრება ყინვის სხივად...

და ვიწამე: რომ ამ ქვეყნად ყველა არი წარმოვლი, და შენც, კარგო, ჩემს წინაშე მოგიხდია შენი ვალი.

ახალი წიგნები

* „ეროვნული ენერჯია“ გ. ქიქოძისა, წიგნი შეიცავს 253 გვერდს. კოშკია ფორმატი-სა: მოთავსებულია ოცდა ხუთი წერილი. ახალ მწერლებში, რომელნიც პირადად სწერენ თავიანთ ნათხრობს, სტილის მხრივ გერონტი ქიქოძეს მეორე ადგილი უკავია. გერონტი ქიქოძეს აქვს საკუთარი თქმა და იცის აზრის მოქნილად მოკვება. ამ წიგნში პირადად ჩვენ მოგვწონს „მელანქოლიური შენიშვნები“. და „სახავო კონფერენციისათვის“, არის წყალწყალა წერილებიც; რომელიც „საქართველოს“ ყოფილ ფელეტონებს გვაგონებს, საერთოდ ავტორისაგან ახალი საქართველო უფრო მეტს მოელოდა.

* „დაისები“ ვალ. გაფრინდაშვილისა. „აისი“ განთიადის წინამორბედა. რიგაჲის დასაწყისი, „დაისი“ კი — დიმიტრი ყიფიანის ლექსიკონით — მწუხრი, საღამო, შვის ჩასლა, დაისით ლოცვა — დამის ლოცვა: Всеношная“. „ციხერყარწებში“ იაშვილი და გაფრინდაშვილი საინტერესონი არიან. თუ პირველს მუნასობური ნიჭი აქვს — და სათიან ფგონად ითვლება, მეორე — შიშივე ლოდივით და ყოველ მის ჰეჲარში ბრინჯაოს სიმტკიცე სჩანს. მე გგონია, რომ პირეტი ანას განზრახ სჩადის. ამ პირეტს ორი ნაკლი აქვს (მე მხოლოდ ნაკლს აღვნიშნავ, ისე კი უნდავო რომ იგი პირეტია და ნიჭიერი პირეტიც); პირველი ის არის, რომ პირეტი რითმის გულისთვის აუარებელ უცხო სიტყვებით ტერითავს ლექსს. და სულ ერთია მისთვის ეს სიტყვები დასავლეთის იქნება თუ აღმოსავლეთის. მაგ., სპექტაკლები-ნაკლები, ჰანიალი-ილბალი, მელიზანთა-მიზანთა, ბეჲემოტი-გემოთი, კუკლები — უკლები და მრავალი სხვა. საგულსძიბოა, რომ ამ უცხო სიტყვებს ტექსტში ვერ შეხვდები და რითმების აღორვეე ჰამოწერა კი ცხად ჰყოფს პირეტის ნაკლს. გგონია, რომ ანასაც განზრახ სჩადის პირეტი. მეორე ნაკლი ის არის, რომ, პირეტი და იგივე რითმა — ამ ერთ ციქუნა წიგნში — რამდენჯერმე არის განწერილები: უამარი-თამარი (გვ. 8), უამარი-თამარი (გვ. 11), მერანებს-გავაეიანებს (გვ. 14), მერანი-ვეიანი (გვ. 68), მესტები-დანიესტები (გვ. 22), მესტები-დაინესტები (გვ. 37), მიხილ-რაიხილ (გვ. 24), რაინდს-მაინც (გვ. 38), მიხაში-წინაშე (გვ. 29), მიხაში-წინაშე (გვ. 68), პაერი-სეხანაირი (გვ. 42, 53, 66) და მრავალი სხვა. საინტერესოა ერთი რამ: 1914 წელს გრიგოლი რომაჲიქიმე „სახალხოში“ წერილი დასტამა, სადაც ს. აბაშვილი წიგნს სწორედ ამ მეთოდით არჩევდა და რითმის განწერებისთვის არასაკდრის სიტყვებით გაუმასპინძლდა წიგნის ავტორს. მე „არასაკდრის“ სიტყვებისგან დმერთმა და-მიფაროს და არცა მსურს, რომ ჩულში გაგზავიო პარეციემული ავტორი, მხოლოდ თუ მინდა-და-მაიც აღვნიშნე (ჯერჯერობათ) მხოლოდ ეს ორი ნაკლი, ესაც მომივიდა პირეტიის სიყვარულით და ავტორისადმი უაღრესი პატივისცემით.

* გ. ტაბიძის მეორე ტომი. ტაბიძე სხვანაირია. იგი ყველა ჩვენ პირეტებზე უფრო ფანტასტიური აღამიანია. მისი მეორე ტომი დიდათ განწირევა მის პირველ ტომისაგან. და როგორც მის პირველ ტომში ისე აქაც მხოლოდ რამდენიმე ლექსია კარგი და ავტორის დამახასიათებელი. საკვირველია, რომ დასავლეთ საქართველოს პირეტებს ქართული ენა ვერ ეხერხებათ. გაფრინდაშვილს თავის „დაისები“ სავსე აქვს პროვიციალურ გამოთქმებით. — მაგ., ჩაყენილი, ლურჯი, ქალურებ, დალაღი, გარემა და სხვ. ვალაქტიონ ტაბიძემ კი უკვე მოიხსნა თეჲა პროვინციალური (წინათ ჰგონდა: ცეხა) და როგორც ყოფილი სემენარიელი და ნიჭიერი პირეტი უფრო მეტის სიყვარულით ეკიდება ქართულ ენას. ვალაქტიონს თავის ლირება-ნაკლოლოვანებით — ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით, მხოლოდ სამუშაო ის არის, რომ ჩვენს ნათიცი კრიტიკოსები ამ წიგნზე სდუმან, მათ უფრო ინტერესებთ სიმბოლისტების დაბალი შკოლა (კრონოსის სარკე, სმარაგდი, აისი, თოლაბურ, სარტყელი და სხვ.) ვიდრე ნიჭი, ხალასი, უმეგეო და თავისებური. მე ვამზადებ ვრცელ გამოკვლევას: ამ სა-თაურით „ასონანსები ძველ მწერლებში“ ხოლო ახლებში კი უნდა ითქვას, რომ არც ერთს პირეტს არ ეხერხება ასონანსები ისე, როგორც ვალაქტიონს. ჩამოთვალა ნუ ვივინდა. აჲფურ-ცლეთ წიგნები და ირწმუნეთ! პირადათ მე მომწონს მისი: „ლურჯა ცხები“, „მერი“ და „პირიშვი“, ამ უკანასკნელში თინათინობს საქართველოს ყოფილი სკვდა.

* „ცხოვრების ყვავილები“ ვარლამ რუხაძისა. ი. ევლიშვილმა მიიღო სკოლა შეჲქმენა. თუმცა ზოგი ერთი მისი შეგირდი ვერ გასცილებია მამათა ცოდვებს. ამ მხრივ რუხაძის „ცხოვრების ყვავილები“ სუნძილდებულია და წასული ხანის დამახასიათებელი.

* „კავრთათვა“ გ. ხავანელიას. ეს სიტყვა საბას ლექსიკონიდან არის ამოღებული რაიც ნიშნავს „გულის თქმის ხსენებას“. ევლით მის მეორე წიგნს.

* „შვიდი მნათობი“ ორი ნომერი გამოვიდა. პირველ ნომერში აღსანიშნავია ი. გრი-შაშვილის „ლოტოსი“ და პ. კაკაბაძის ჰიესა. მეორე ნომერში კი ვ. რუხაძის თარგმანი „სალონი“ იმით არის აღსანიშნავი, რომ უთვალავი ნაცვალ-სახელებია, რაც სრულიად არ ეგუება ქართულ ენას, ან აბა რა ქართულია: „ვეცხლი“, „კეტარეში“, „მეჲურღონია“ და სხვა... უნდა ითქვას კიდევ: „სალონი“ პ. დადამასაც აქვს თარგმანი, რომელიც 1910 წ. „დრო-ებში“ იბეჭდებოდა და აგრედევ ალ. სარაჯიშვილს, რომელიც ხელ-ნაწერებად მომისმენია.

* „**შვიდნი ძმანი ხევსურნი**“ ი. მკედლიშვილისა. ლირიკული პოემა. დაწერილია 1915 წ. როგორც ყოველი მისი ლექსი, ხალხურ ყაიდაზე დაწერილი და შუგ მრავალი თავისებურობა აქვს ავტორს. კარგია რითმა: ტამარი—წყასაბაძარი. გამოცემა ეკუთვნის ი. იმედაშვილს.

* „**პრომეთე**“ **დუბუ მერაბისა** გამოცემულია კარგათ. ამ ავტორს ძველ მწერლებში საპატიო ადგილი უჭირავს—თავისი მამულიშვილური გრძნობით და გულწრფელი განცდით. პოემა „პრომეთე“ ასეთი სტილით არის დაწერილი.

* „**გაწყვეტილი ზღაპრები**“ დ. თურდოსპირელისა. წიგნში მოთავსებულია 31 ნოველა. გამოცემულია დაქინად. ამბობენ: პოეტები ბევრი გვყავს და ბელესტრისტები კი ნაკლებია. საჭიროა მოძებნა და მათი ცალკე წიგნად გამოცემა, რომ მომავალ თაობას ერთგვარი წარმოდგენა ჰქონდეს თანამედროვე ქართულ შემოქმედებაზედაც. დ. თურდოსპირელი დიდხინის მწერალია. პირველად ლექსებით დაიწყო. მისი პირველი ლექსები „ნიშნადღრში“ იბეჭდებოდა. შემდეგ კი პროზაში ჰპოვა თავისი თავი და დღეს მის „გაწყვეტილ ზღაპრებში“ ვკითხულობთ „მოლოხანს და მზე-ჭაბუქს“, რომელიც საუცხოო შთაბეჭდილობას სტოვებს.

* **მიხ. ბოქორიშვილის ეტიუდები**. მიხ. ბოქორიშვილი ახალგაზდა ნიჭიერი ბელესტრისტია. იგი არ არის პოპულიარული. შეიძლება ეს იყოს მისი ღირსება. ხსენებულ წიგნში მოთავსებულია 10 მოთხრობა, წიგნი გამოცემულია ქუთაისში და შეიცავს 72 გვერდს. ქალღიმი კარგა მომხსნა. მხოლოდ ეს კია რომ წიგნს რამდენიმე ნაკლი აქვს გავრცელებულად: შრიფტი ვერ არის კარგი; ნაკვეთია და ზოგიერთი ნაწარმოები აზნაული გამოსულა. არც საჩივეი აქვს დართული. წიგნი პირველი კრებულია.

* „**ჩიტ-მელურა**“ **ხალხური ზღაპარი ლექსად სტეფანე ძიმიტარაშვილისა**. ტვილისში დაარსდა წიგნის გამომცემლობა „ნორჩი საქართველო“, რომელსაც მიზნად დასახავს საყმაწვილო წიგნების გამოცემა. სტეფანე ძიმიტარაშვილი გვარია აწ უკვე განსვენებული სახალხო მწერლის „კორტოხასის“, წიგნში არის ნაკლი ცხურისა და ენის მხრივ. მანბავშვის გონებისა და მესხიერებისთვის კი კარგად ვათოლო ლექსს დიდი მნიშვნელობა აქვს.

* „**ყვავი, ბუ და მელაულა**“ საყმაწვილო ზღაპრები. გამოცემულია ქუთაისში დავ. დონდელს და ს. ჯაფარიძის მიერ. ასეთი ზღაპრები, რა თქმა უნდა, კარგია ბავშვებისათვის, მაგრამ ვარწმუნებ მის რეცენზენტებს რომელთა აზრიც წიგნის გარე-კანზეა მოთავსებული რომ ხსენებულ ზღაპრებს ენა არ უვარგა. საზოგადოთ საბავშვო წიგნებს ერთგვარი კონტროლი უნდა დაენიშნოს, რომ არ „წახდეს“ ენა ქართული. ბავშვის ტვინი დაუწყვერელი ქალღიმი და „რაც კი ერთხელ სულს დააჩანდების, საშვილიშვილოდ ვადაიქმნის“. ამა რა ქართულია: „თავია“, „აწი“, „გაიკვირიაკა“, „კედრით“, „გაცუცურავებულო“, „ძურწა“ და სხ.

* **გ. ხერიაშვილი** მშრომელ ხალხში, გარე-უნებში ცნობილი მწერალია. მისი „დურ-გლიათ ქორწილი“ „დიდმოურავანი“ და „სინონას თავგადასავალი“ დღესაც ახსოვს ყველას. წიგნს გამოვიდა მისი ახალი წიგნები: „ციციხათელა“, „რუიხანი“, „ოცი ძმა“. „დუქანში“, და სხვა.

* **სიფ. გლახაშვილის თხზულებანი**. წიგნი კარგ ქალღიმი გამოცემული. დიდი ფორმატისაა, შეიცავს 313 გვერდს და ღირს 45 მან. წიგნში მოთავსებულია იგავები, ლექსები და პიესები. ავტორმა იცის ცხოვრების დაკვირვება. წიგნის ენა ხალხურია და ყოველი სტრიქონი სადაა და მარტივი. მის პიესებში საინტერესოა „ზორავდ“ და „წყურვილი“, ეს უკანასკნელი სიმბოლიურ ყაიდაზე დაწერილი და 1910 წელს მთელი სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე დაიდვა ჩვენს სცენაზე.

* „**წამების ჯვარზე**“ **იბოლი მუშისა**. გძელი პოემა—აკაცის სტილით დაწერილი. იბოლი მუშა ცნობილია მუშათა მგონებში. საჭიროა თავისებურობის ძიება და რითმის გრძნობათა შეგნება.

* „**ჩვენი ცხოვრებებს სურათები**“ **ძუკუ ლოღუასი**. წიგნში მოთხრობილია სადათ ჩვენი ინტელექციის რაობა. ძუკუ ლოღუა ცნობილია როგორც მოსიყვარულე ლოტობარი დასავლეთ საქართველოს სიმღერებისა, ხოლო პროზაში კი პირველთა გვევლინება და უნდა ითქვას, რომ მის წიგნში მრავალი გულწრფელი და სალი იუმორია.

* **თაფუნა**. თაფუნა ნიჭიერი იუმორისტი, პირველ წიგნში მოთავსებულია, რაც აქამდე გაბნეული იყო „ეშმაკის მართახში“. მისი ზოგიერთი ნაშრომი დაწერილია ავერჩენკოს სტილით. კარგია მისი „საბიბლიოგრაფიო ცნობები“, „ქართული თეატრი“ და „გ.სო აბაშიძის საათი“.

* „**ღია წერილი ხოლომონ ზურგიელიძეს**“ **ეშმაკისა**. კარგი იმიტაციაა შოთასი. არის სტრიქონი აღვლებიც; მაგრამ შოთასაც ხომ აქვს ყალბი ადრეობა. მე გმონია, რომ ბუნებით ნიჭიერმა ეშმაკმა ეს განზრახ ჩაიდინა, რომ შოთასადმი იმიტაცია სავსებითი ზუსტად გამოსულიყო.

